მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში

ხონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების დოკუმენტი

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
(LDA Georgia)

2021 წელი



კვლევის განხორციელება შესაძლებელი გახდა ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს გრანტის „მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ,,გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის'' მხარდაჭერით.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო მადლობას უხდის კვლევაში მონაწილეებს - ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, საკრებულოს, თემის წარმომადგენლებსა და მომსახურების მიმღებ პირებს, ანალიზისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოგროვების პროცესში გაწეული დახმარებისა და კვლევაში ჩართულობისათვის.

მკვლევარი: ნანა გოგოხია, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაციის ,,თანხმობა'' იურისტი (IDP Women Association ''Consent'').

წარმოდგენილი კვლევა შექმნილია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით. მის შინაარსში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციების მოსაზრებებს.

სარჩევი

1. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია.... 4

1.1 კვლევის საფუძველი 4

1.2. კვლევის მეთოდი და მონაწილეთა შერჩევა 4-5

1.3. ჯგუფური დისკუსიები და მონაცემების შეგროვება 5

2. შესავალი 6-7

3. განხილული საკითხები და გამოვლენილი საჭიროებები.....8

3.1. ეკონომიკური განვითარება.....8-10

3.2. სოციალურ-ეკონომიკური პროფილი.....10-11

3.3. ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა.....11-13

3.4. განათლება, კულტურა და სამოქალაქო ჩართულობა 13-15

3.5 ძირითადი სერვისები და პროგრამები.....15-17

4. რეკომენდაციები.....18

5. საბიუჯეტო პროგრამა.....19-20

6. დანართი.....21

სადისკუსიო გეგმა/გზამკვლევი.....21-22

1. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

1.1 კვლევის საფუძველი

ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს პროექტის „მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ ფარგლებში ხონის მუნიციპალიტეტში , 2021 წლის აპრილის თვეში ჩატარდა საჭიროებების კვლევა , რომლის საფუძველზეც შეიქმნა წარმოდგენილი საჭიროებების დოკუმენტი, სადაც ერთის მხრივ საუბარია მოსახლეობის საჭიროებებზე და მეორეს მხრივ COVID 19-ის შემდგომ გამოწვევებზე.

კვლევა უზრუნველყოფს, მოსახლეობის თვალით დანახული ადგილობრივი პრობლემების გამოვლენა-შესწავლას. მათ მიერ ადგილობრივი საჭიროებების ხედვას, მათ პრიორიტეტებსა და მოლოდინებს ადგილობრივ განვითარებასთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებას ადგილობრივ დონეზე სტრატეგიული/პრიორიტეტული მიმართულების დაგეგმვისა და ღონისძიებების განხორციელების პროცესში.

კვლევის შინაარსი შეიძლება სრულად არ მოიცავდეს ხონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებებს და არ ასახავდეს სრულ სურათს.

ასევე, წარმოდგენილი რეკომენდაციები არ შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც დონორის აზრი და ის გამომდინარეობს მხოლოდ ფოკუს ჯგუფების დისკუსიებისას მიღებული ინფორმაციიდან.

1.2 კვლევის მეთოდი და მონაწილეების შერჩევა

კვლევის კონცეფცია, სადისკუსიო თემები და კითხვები შემუშავდება იმერეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის თემატური ჩარჩოს საფუძველზე.

საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე ჩატარდა თვისებრივი კვლევა, ფოკუს ჯგუფის მეთოდის გამოყენებით. ასევე შესწავლილ იქნა მუნიციპალიტეტის 2021 წ. საბიუჯეტო პროგრამები, მუნიციპალიტეტის 2020-2023 წწ საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი , მერის 2020 წ განხორციელებული საქმიანობის ანგარიში და 2021-2023 წწ პრიორიტეტების დოკუმენტი.

ფოკუს ჯგუფებისთვის მონაწილეები შეირჩნენ მიზნობრივად, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით.

შესწავლის მიზნებისთვის რელევანტურ და საინტერესო ჯგუფებად გამოიყო შემდეგი: ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანამშრომლები; თემის ფორმალური და არაფორმალური ლიდერები; მოწყვლადი სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები.

ხონის მუნიციპალიტეტში სულ ჩატარდა: 2 (ორი) ფოკუს ჯგუფის შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ:

- **ადგილობრივი თვითმმართველობიდან** : მერიის სოციალური სამსახურის, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალური კომისიის წარმომადგენლები, ასევე მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში;
- სკოლის დირექტორი;
- ხონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების წარმომადგენელი;
- ადგილობრივი მაცხოვრებლები სხვადასხვა მოწყვლადობის გათვალისწინებით (მრავალშვილიანი , სოციალურად დაუცველი, შშმ ბავშვის მშობლები, მარტოხელა მშობელი, დევნილი).
- ადგილობრივი არასამთავრობოს წარმომადგენლები;

- ადგილობრივი ახალგაზრდა.

ფოკუს ჯგუფებში სულ მონაწილეობა მიიღო ცამეტმა (13) რესპოდენტმა, რომელთა შორის ექვსი (6) მდედრობითი სქესის წარმომადგენელი იყო. მონაწილეთა საშუალო ასაკი 26 წლიდან 77 წლამდე მერყეობდა.
ფოკუს ჯგუფების მონაწილეობა ითვალისწინებდა ახალგაზრდების ჩართულობას და განსხვავებული სქესის წარმომადგენლის მონაწილეობას.

1.3 ჯგუფური დისკუსია და ინფორმაციის დამუშავება

ჯგუფური დისკუსია ჩატარდა წინასწარ შემუშავებული კითხვარის მიხედვით, რომელიც შედგებოდა ღია კითხვებისგან. იგი შედგებოდა ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ფარგლებში ჩამოყალიბებული თემებისა და ქვეპუნქტებისგან და მოიცავდა შემდეგ თემებს:

- სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობა;
- ეკონომიკური განვითარება;
- ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა;
- ძირითადი სერვისები და პროგრამები ხონის მუნიციპალიტეტში;
- Covid -19 - ით გამოწვეული ახალი საჭიროებები;

ფოკუს ჯგუფებს ჰქონდათ სრული თავისუფლება, შეერჩიათ სადისკუსიო თემები, რომლებიც, მათი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი საზოგადოებისთვის, განხილული პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის თვალსაზრისით.

ინტერვიუს დასაწყისში თითოეულ რესპოდენტს ეთხოვა თავის წარდგენა და მათი კომპეტენციისა და საქმიანობის შესაბამისად, საკუთარი შეხედულებების გაცნობა თემისა და ზოგადად, მუნიციპალიტეტის პრობლემებსა და საჭიროებებზე. შესავალი პროცესის დასრულების შემდეგ, ინტერვიუერმა ხელი შეუწყო ჯგუფში დისკუსიის დაწყებას თემების, ადგილობრივი ცხოვრების შესახებ.

ინტერვიუერის მიერ ფოკუს ჯგუფის დისკუსიები ჩაიწერა ხმის ჩამწერზე, ხოლო თვალსაჩინოებისთვის ძირითადი საკითხების აღსანიშნავად გამოიყენებოდა საწერი დაფა. ინტერვიუს მონაწილეთა დასწრება დაფიქსირდა დამსწრეთა სიაში, რომელშიც აღინიშნა დამსწრეთა სრული სახელი, მისამართი, დეტალური საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერა. მიღებული ინფორმაცია დამუშავდა კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით და ინახება ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს (LDA Georgia) ოფისში.

2.შესავალი(ზოგადი მიმოხილვა)

ფოკუს ჯგუფების დისკუსიები მიზნად ისახავდა ხონის მუნიციპალიტეტის საზოგადოების საჭიროებებისა და პრობლემების გარკვევას/ დადგენას. დისკუსიების მსვლელობისას , მონაწილეებისათვის შეთავაზებული სადისკუსიო სფეროების ფარგლებში ყველაზე მეტად განხილულ იქნა ისეთი სკითხები, როგორიცაა : სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ეკონომიკური განვითარების პროგრამები, ადგილობრივი ბიზნესი, წარმოება და პროდუქციის რეალიზაცია, მიგრაცია და დასაქმება, ინფრასტრუქტურული საკითხები , განათლების ხელმისაწვდომობა, სპორტულ/კულტურული აქტივობები ,სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმები, ჯანდაცვის პროგრამები და სოციალური სერვისები, მოქალაქეთა ინფორმირებულობა, Covid -19 -განგამოწვეული ახალი საჭიროებები.

დისკუსიებმა ანახა, რომ მიუხედავად მუნიციპალიტეტის მიერ ბოლო წლებში განხორციელებული არაერთი წინგადადგმული ნაბიჯისა, კვლავ რჩება სხვადასხვა მიმართულებით გამოწვევები, რომელთა გადაჭრამაც უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ - ეკონომიკური განვითარება და კეთილსაიმედო გარემოს შექმნა. მრავალფეროვანი გახადოს მუნიციპალური პროგრამები, ხელი შეუწყოს განვითარებაზე ორიენტირებული , გრძელვადიანი და მდგრადი სოციალური სერვისების შექმნას, რომელიც მოწყვლად ადამიანებს გააძლიერებს და თვითკმარს გახდის.

დისკუსიებმა ცხადყო, რომ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში შეიქმნას ერთობლივი საკომუნიკაციო პლატფორმა, სადაც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, ბიზნეს სექტორი, თუ სხვა დაინტერესებული სუბიექტები შეძლებენ ერთმანეთთან კომუნიკაციას ადგილობრივი მნიშვნელობის სოციალურ- ეკონომიკური განვითარების საკითხებზე, შეიმუშაონ და წარადგინონ რეკომენდაციები იმ ეკონომიკური განვითარების პროგრამების დასახვეწად , რომელიც სახელმწიფოს მიერ ხორციელდება, რაც აღნიშნულ პროგრამებს კონკრეტულ რეგიონზე , მუნიციპალიტეტზე უფრო მეტად მორგებულს გახდის.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ მუნიციპალიტეტს გააჩნია ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის კარგი პრაქტიკა, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა ინოვაციური მიდგომების დანერგვას სოციალური მომსახურეობის სფეროში, აუმჯობესებს ხონში მცხოვრები მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და თავად მუნიციპალიტეტის საქმიანობასაც უფრო შედეგზე ორიენტირებულს ხდის.

ხონის მუნიციპალიტეტში, მრავლად არიან განსახლებული იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც ძირითადად უზრუნველყოფილი არიან საცხოვრებელი ფართებით, თუმცა დახმარებას საჭიროებენ საარსებო წყაროს შექმნის კუთხით. აუცილებელია მუნიციპალიტეტმა გააგრძელოს დევნილებზე ზრუნვა სხვა უფლებამოსილ სახელმწიფო უწყებებთანა ერთად. ხელი შეუწყოს დევნილების მეტად ჩართულობას ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესებში.

ახალი კორონა ვირუსის გავრცელებამ, ხონის მუნიციპალიტეტი, მსგავსად სხვა მუნიციპალიტეტებისა ახალი, გაუთვალისწინებელი გამოწვევების წინაშე დააყენა. შეფერხდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება, მცირედით დროში გადაიწია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებამ, გაიზარდა უმუშევრობა და მოწყვლადი ოჯახები უფრო მეტი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ.

პანდემიის პერიოდში მუნიციპალიტეტი თავისი კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას უწევდა ადგილობრივ მოსახლეობას. აწვდიდა სასურსათო კალათებს, შეზღუდვების პერიოდში ეხმარებოდა გადაადგილებაში. ადგილობრივი ადამიანური რესურსებით ახერხებდა მოსახლეობისთვის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების შეუფერხებლად მიწოდებას.

უზრუნველყოფდა მოქალაქეების ინფორმირებულობას როგორც კოვიდ-19-გან დაცვის მექანიზმების, ასევე დაწესებული შეზღუდვებისა და რეგულაციების შესახებ.
პანდემიამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახადა მოწყვლადი კატეგორიის მოქალაქეებზე ზრუნვის აუცილებლობა. დაწესებულმა შეზღუდვებმა, გაზრდილმა ფასებმა, შემოსავლის წყაროს დაკარგვამ მოწყვლადი მოსახლეობა კიდევ უფრო მეტად გახადა დამოკიდებული სახელწმიფო დახმარებებზე. დამძიმებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ კი გაზარდა სოციალურად დაუცველი ოჯახების რაოდენობა. [1] ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა შეძლოს და მოახდინოს სერვისების ახალ საჭიროებებზე მორგება, ასევე სერვისებს მიღმა დარჩენილი მოქალაქეების იდენტიფიცირება და მათ საჭიროებებზე რეაგირება.
მომდევნო თავებში დეტალურად იქნება გადმოცემული ის მოსაზრებები, რომელიც ფოკუს ჯგუფების დისკუსიებისას გამოიკვეთა როგორც გამოწვევები, და ასევე რაც მუნიციპალიტეტის დოკუმენტების შესწავლის შედეგად იქნა გამოვლენილი. დანართის სახით წარმოდგენილია ფოკუს ჯგუფების განხორციელების ინსტრუმენტები.

ანგარიშში მოცემული გამოწვევები არ წარმოადგენს მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციისთვის განკუთვნილ საკითხებს, და მათი გადაჭრა/ მოგვარება შესაძლოა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისა თუ საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით იყოს შესაძლებელი.

[1] სოციალური მომსახურეობის სააგენტოს ვებ გვერდი http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1476

3. განხილული საკითხები და გამოვლენილი საჭიროებები

3.1 ეკონომიკური განვითარება: ხონის მუნიციპალიტეტმა 2020 წელს შეიმუშავა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმა, რომლის თანახმადაც ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებებად სოფლის მეურნეობა და ტურიზმია გამოკვეთილი. პანდემიის გავრცელებამ გარკვეულწილად შეანელა ეკონომიკური განვითარების ტემპი, თუმცა ამავდროულად კოვიდ 19 -ის შედეგად დაწესებულმა შეზღუდვებმა ხელი შეუწყო მომსახურეობის სფეროს განვითარებას (გაზარდა მოთხოვნა ავტო სახელოსნოებზე. დაინერგა მიტანის სერვისი).

ეკონომიკური განვითარების საკითხის განხილვისას, მონაწილეებმა იმსჯელეს სოფლის მეურნეობის კუთხით არსებულ გამოწვევებზე და აუცილებლად განსახორციელებელ ნაბიჯებზე.

სოფლის მეურნეობა : როგორც მონაწილეებმა აღნიშნეს სოფლის მეურნეობის განვითარებას მუნიციპალიტეტში დიდი ყურადღება ეთმობა, რაც საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით ხორციელდება. *„თუ ადრე მოსახლეობა ძირითადად სიმინდის მოყვანით იყო დაკავებული, დღეს ხონში მოსახლეობა ცდილობს განავითაროს თხილის წარმოება, კენკროვანი კულტურები",* აღნიშნა ერთერთმა რესპოდენტმა.

ხონის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მეფუტკრეობას მისდევს. დაფუძნებულია მეფუტკრეთა ასოციაცია, თუმცა ძირითად გამოწვევას თაფლის ბითუმად რეალიზაცია წარმოადგენს. გამოწვევად დასახელდა ფუტკრის ხარისხის დამდგენი სერთიფიცირების პროცედურების ადგილზე ხელმიუწვდომლობა და მაღალი ფასი.

მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ჯერჯერობით კვლავ დაკავებულია სიმინდის, ლობიოს მოყვანით და მევენახეობით, ვინაიდან ამ სფეროში მეტი ცოდნა და გამოცდილება გააჩნიათ.

სოფლებში ე.წ „მექანიზაციის ცენტრები" არ არსებობს, თუმცა კერძო პირებს ჰყავთ ტრაქტორები, რომელთა დახმარებითაც ხდება მიწების დამუშავება. იმის გამო , რომ ტექნიკაზე მოთხოვნა დიდია, მოქალაქეებს რიგში დგომა უწევთ. პრობლემაა ასევე მოძველებული ტექნიკა. ფერმერებს, რომელთაც მიწები დარეგისტრირებული აქვთ შეუფერხებლად შეუძლიათ ისარგებლონ სახელმწიფო პროგრამით საწვავზე, თუმცა სამწუხაროდ სოფლად მცხოვრები მოსახლეობის არცთუ ისე მცირე ნაწილს მიწის რეგისტრაცია არ განუხორციელებია სხვადასხვა მიზეზით(მეზობლებს შორის მიმდინარე დავა, მიწის გადაფარვები, აზომვითი ნახაზების მოსამზადებლად სათანადო თანხის არ ქონა). *„ზოგადად ხონი მცირემიწიანი მუნიციპალიტეტია, და რა თქმა უნდა მიწის რესურსებზე წვდომა ჩვენთვის ფუფუნებას წარმოადგენს",* განაცხადა ერთერთმა მონაწილემ. მიწაზე ხელმისაწვდომობა არ გააჩნია ხონის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ დევნილთა უმრავლესობას, რაც აფერხებს მათთვის საარსებო წყაროს შექმნის პროცესს.

ბოლო წლებში მოსახლეობისთვის მთავარ გამოწვევას ფაროსანასთან ბრძოლა წარმოადგენდა, თუმცა სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მუნიციპალიტეტის ერთობლივი თანამშრომლობით შესაძლებელი გახდა აღნიშნულ პრობლემაზე სწრაფი რეაგირება.

ახალი კულტურების (მოცვი, მარწყვი, ჟოლო) განვითარების ხელშეწყობის მიზნით ხდება მოსახლეობასთან შეხვედრები და მათი უნარების და ცნობიერების ამაღლება ახალი კულტურების მოვლისა და მაღალხარისხიანი მოსავლის მოყვანის შესახებ. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის ნაწილს ურჩევნია ტრადიციული კულტურების მოყვანით იყოს დაკავებული, რა დროსაც გაცილებით მეტი შრომა უწევთ, მიღებული შემოსავალი კი ძალიან მცირეა, რაც ძირითადად გამოწვეულია არსებული ტრადიციული ჯიშების დაბალ პროდუქტიულობით. ადგილობრივი გლეხების ნაკლებ ჩართულობას ეკონომიკური განვითარების პროგრამებში ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ხსნიდნენ იმ ხანგრძლივი და მრავალსაფეხურიანი პროცედურების არსებობით, რომელიც ამ პროგრამებს თან სდევს. გამოწვევად დასახელდა ბიზნეს განაცხადის შევსებისთვის აუცილებელი უნარების ნაკლებობა მოსახლეობაში.

რესპოდენტების თქმით, მოსახლეობას, ხონში შეუძლია ისარგებლოს ეკონომიკური განვითარების ისეთი სახელმწიფო პროგრამებით, როგორიცაა დანერგე მომავალი, აწარმოე საქართველოში რომელთა ფარგლებშიც არაერთი ბიზნეს საქმიანობის დაწყება და განვითარება იქნა შესაძლებელი. დისკუსიის მიმდინარეობისას ერთერთმა მონაწილემ აღნიშნა: *„უმჯობესი იქნებოდა თუ სახელმწიფო შემოგვთავაზებდა სოფლის მეურნეობის ისეთი მიმართულებების განვითარების პროგრამებს, რომლებიც ჩვენთვის მშობლიური და ნაცნობია, მაგ. მევენახეობა. სურვილი გვქონდა აგრო სესხით გვესარგებლა, თუმცა იმდენად მაღალია პროცენტი, რომ ვერ გავწვდებით, ამიტომ მოსახლეობა თავს იკავებს მსგავსი საბანკო ვალდებულების აღებისგან".*

მუნიციპალიტეტში განხორციელდა ლტოლვილთა დანიის საბჭოს საგრანტო პროგრამა მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, რომლის ფარგლებშიც 30 განაცხადიდან 16 ბიზნეს იდეა დაფინანსდა. აღნიშნული პროგრამა დევნილთა დასაქმების ხელშეწყობაზე იყო *გათვლილი. „კარგი იქნება თუ შესაძლებელი გახდება მსგავსი მცირე საგრანტო პროგრამების განხორციელება ხონის სხვა სოფლებშიც, რადგან ის დიდ მოტივაციას აძლევს მოსახლეობას დაიწყოს და განავითაროს საკუთარი საქმე, ასე ნელ- ნელა კი შეიქმნება უფრო მეტი სამუშაო ადგილიც",* აღნიშნა ერთერთმა რესპოდენტმა.

ასევე, ლტოლვილთა დანიის საბჭოს დახმარებით ხორციელდება პროექტი, რომელიც სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას მოიცავს. მასში ჩართულ პირებს შესაძლებლობა აქვთ სწავლის პარალელურად სამეწარმეო პრაქტიკა გაიარონ და მიიღონ მცირედი ანაზღაურება 100 ევროს ფარგლებში, რაც მომავალში უზრუნველყოფს პროფესიული, კონკურენტუნარიანი ადგილობრივი კადრების ადგილზე გაჩენას. მსგავსი პროგრამები ძირითადად დევნილებისთვის ხორციელდება და ნაკლებადაა ხელმისაწვდომი ხონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის. მაგალითად, ფოკუს ჯგუფების მონაწილეების თქმით, მუნიციპალიტეტში სოფლად მცხოვრები ქალების ან ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერების პროგრამები ნაკლებად ხორციელდება.

ადგილობრივი ბიზნესი და ბაზარზე წვდომა: როგორც მონაწილეებმა აღნიშნეს, ხონის მუნიციპალიტეტი მუდმივად ცდილობს ინვესტორების მოზიდვას. შედეგად მუნიციპალიტეტში შესაძლებელი გახდა ჩაის მწარმოებელი საწარმოს გახსნა (4 ასეთი საწარმო არსებობს), სადაც ადგილობრივი მოსახლეობაა დასაქმებული.

გერმანული ინვესტიციით გახსნილია და ფუნქციონირებს თხილის გადამამუშავებელი საწარმო.

ფუნქციონირებს ავეჯის დამზადების და რძის გადამამუშავებელი მცირე საწარმოები. ადმინისტრაციულ ცენტრში არაერთი სილამაზის სალონია, თუმცა მეწარმეობის განვითარება ძირითადად ადმინისტრაციულ ცენტრში ხდება.

როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს Covid- 19 -მა უარყოფითი ზეგავლენა განსაკუთრებით მცირე ბიზნესზე მოახდინა, რის შედეგად დაიხურა მცირე საწარმოების გარკვეული რაოდენობა (კვების ობიექტები, საოჯახო სასტუმროები და სხვა), მოსახლეობის ნაწილმა კი შემოსავლის წყარო დაკარგა. მუნიციპალიტეტში არ არსებობს ზუსტი სტატისტიკური მონაცემები ადგილზე არსებული (ფუნქციონირებადი) საწარმოების შესახებ, ასევე უმუშევრად დარჩენილი მოქალაქეების შესახებ.

რაც შეეხება ადგილობრივ წარმოებას, ხონში ჩაის, თაფლის და რძის პროდუქტების, ავეჯის წარმოება ხდება. ჩაი და რძის პროდუქტები ხონიდან საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გადის. სამწუხაროდ არ არის განვითარებული მეწარმეებს (ფერმერებს) შორის უწყვეტი მიწოდების ჯაჭვი, ნაკლებია კომუნიკაცია და ინფორმირებულობა ერთმანეთის შესახებ ადგილობრივ მეწარმეებში, რის გამოც ორგანიზებულად ადგილობრივი პროდუქციის ადგილზე რეალიზება არ არის შესაძლებელი. ძირითადი ბაზარი ადგილობრივი მოსახლეობისთვის პროდუქციის გასაყიდი ადგილი არის ხონის სასოფლო სამეურნეო ბაზარი. ბაზრობის დღეებია ოთხშაბათი და კვირა.

ტურიზმი და რეკრეაცია: ბოლო წლებში , მუნიციპალიტეტში ერთ-ერთ განვითარებას სფეროს ტურიზმი წარმოადგენდა. ხონი ცნობილია ტურისტულად მიმზიდველი ადგილებითა და ბუნებით, რის გამოც მუნიციპალიტეტს , ღირსშესანიშნაობების მოსანახულებლად არც თუ ისე ცოტა ტურისტი სტუმრობდა, რამაც ხელი შეუწყო საოჯახო სასტუმროების ბიზნესის განვითარებას, თუმცა პანდემიამ ამ სფეროზეც იქონია უარყოფითი გავლენა. *„ახლა აუცილებელია შიდა ტურიზმის განვითარებას შეეწყოს ხელი, დროა ჩვენ თვითონ ვისწავლოთ საკუთარ ქვეყანაში ფულის დახარჯვა და ასე გადავარჩინოთ ტურიზმი",* განაცხადა ერთ - ერთა რესპოდენტმა.

როგორც ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, ტურისტულ ობიექტებთან ინფრასტრუქტურა ძირითადად მოწესრიგებულია, თუმცა არის გარკვეული ხარვეზები, მაგ. საჭიროა საზოგადოებრივი საპირფარეშოების, საპარკინგე ადგილების მოწყობა, აუცილებელია მაღალკვალიფიციური უცხოენოვანი ადგილობრივი გიდების მომზადება და მომსახურეობის სერვისის გაუმჯობესება.

მუნიციპალიტეტში ნაკლებადაა წარმოდგენილი ისეთი კვების ობიექტები, კაფეები, რომლებიც ტურისტებისთვის იქნება მიმზიდველი. არ არის ასევე ისეთი გასართობი ადგილები, სადაც ტურისტები შეძლებენ ღამის საათებში გასვლას და გართობას, განტვირთვას. მონაწილეების აზრით, სასურველია ტურიზმის განვითარების ხელშეწყობით სხვადასხვა პროგრამების განხორციელება.

3.2 სოციალურ-ეკონომიკური პროფილი: ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა შეფასებით ხონის მუნიციპალიტეტში , სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობა მეტნაკლებად მსგავსია სხვა მუნიციპალიტეტებისა. მდგომარება გარკვეულწილად დაამძიმა შექმნილმა პანდემიამ, რომელმაც სოციალურად დაუცველი ოჯახები უფრო მეტად გააღარიბა და კიდევ უფრო დამოკიდებული გახადა სახელმწიფო დახმარებაზე. პანდემიის შედეგად გაუარესდა იმ ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობაც, ვინც დაკარგა სამუშაო და შემოსავალი. რესპოდენტების თქმით, 2020 წლის შემოდგომაზე, როდესაც პანდემიის გავრცელება პიკს მიუახლოვდა მოსახლეობაში შიშის ფაქტორმა

იმატა, რამაც ფსიქოლოგიური ფონი გარკვეულწილად დაამძიმა. *„ სოფლად ვცხოვრობთ და სახლში მცირეწლოვანი შვილები გვყავს. ოჯახის ყველა წევრს მაღალი სიცხეები გვქონდა, სასწრაფოსთან დაკავშირება შეუძლებელი იყო. ცუდად ყოფნის დროს ვერც მეზობელს ვთხოვდით დახმარებას და თითქოს საშველიც არ ჩანდა. ყველას ეშინოდა",* აღნიშნა ერთერთმა რესპოდენტმა.

როგორც ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას სურსათთან უფრო მიუწვდება ხელი, რადგან მათი უმეტესობა ფლობს თუნდაც მცირე მიწის ნაკვეთს , სადაც მოჰყავს მოსავალი. ასევე, ჰყვათ შინაური ფრინველები და ცხოველები, რაც პირველადი საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფას უწყობს ხელს. თუმცა, არიან ისეთი მოქალაქეები, რომლებიც საკვები პროდუქტებით დახმარებას მუდმივად საჭიროებენ (ხანდაზმულები, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანები, მარტოხელა მშობლები და სხვა). კოვიდის დროს მუნიციპალიტეტი სასურსათო კალათებით უზრუნველყოფდა ყველაზე მოწყვლად მოსახლეობას, რაც იმ დროისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო.

მუნიციპალიტეტში, მოსახლეობის უმეტესობა სოფლად მაცხოვრებელია. მათი არც თუ ისე მცირე ნაწილი კი ხანდაზმული და საპენსიო ასაკს მიღწეული. მონაწილეების თქმით, შობადობა შემცირებულია, რაც კარგად ჩანს საბავშვო ბაღებში, სადაც ბავშვების სიმცირეა. ზოგიერთ სოფელში კი საერთოდ არ არის საბავშვო ასაკის პატარა.

შრომის ბაზარი , უმუშევრობადა მიგრაცია: მოქალაქეების დასაქმება ხონის მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას, რესპოდენტებმა ორი მიმართულება განიხილეს. ერთის მხრივ მათ მიუთითეს მუნიციპალიტეტში არსებულ სამუშაო ადგილებზე, რომლებიც სხვადასხვა პროექტების განხორციელებისას ადგილზე იქმნება, მაგ.გზების მშენებლობის, ან სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას, თუმცა მეორეს მხრივ ადგილზე არის ადგილობრივი კვალიფიციური კადრის დეფიციტი. განსაკუთრებით ეს ეხება პროფესიულ (ტექნიკურ) მიმართულებებს. სამუშაო ადგილების სიმცირის გამო ხონში აქტუალურია როგორც შიდა, ასევე გარე მიგრაცია. ახალგაზრდები ხშირად საზღვარგარეთ მიემგზავრებიან სამუშაოდ . *,,ბოლო დროს გაიზარდა გერმანული ენის შესწავლაზე მოთხოვნა, რადგან გერმანიაში სამუშაოდ წასვლის სურვილი ბევრს გაუჩნდა",* განაცხადა ერთერთმა რესპოდენტმა. მწვავედ დგას შიდა მიგრაციის საკითხი. სოფლები თითქმის დაცარიელებულია , რაც მარტივად შესამჩნევია დაკეტილი სახლების და სკოლებში ბავშვების სიმცირით. *„უნდა შემუშავდეს სოფლის განვითარების და ახალგაზრდების ადგილზე დამაგრების ხელშეწყობის პროგრამები, რათა ახალგაზრდებს სოფლებში დაბრუნების სურვილი ჰქონდეთ და საარსებო წყარო გააჩნდეთ",* აღნიშნა ერთერთმა მონაწილემ.

3.3 ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა: ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და უსაფრთხო გარემოს შექმნა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რომელსაც ადგილობრივ ბიუჯეტთან ერთად სახელმწიფო და საერთაშორისო ფონდებიდან მიღებული დაფინანსებით ახორციელებს. არსებული ინფრასტრუქტურა არ არის სრულად ადაპტირებული შშმ პირებისთვის, მხოლოდ ახალი შენობა-ნაგებობები, დევნილთა დასახლებები, სკოლები, საბავშვო ბაღები იქნა რეაბილიტირებული და თითოეულ მათგანს გააჩნია პანდუსი. ადაპტირებულია მერიის მოქალაქეთა მისაღები. ხშირად პანდუსი

ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს, რაც დამატებითი ხელშემშლელი ბარიერია ეტლით მოსარგებლე მოქალაქეებისთვის.

თითქმის ყველა სოფელში მოწესრიგებულია საგზაო ინფრასტრუქტურა, დარჩენილია მხოლოდ მცირედი მონაკვეთები, ასევე გარკვეულ რეაბილიტაციას საჭიროებს ქალაქ ხონში ბორდიულები და გზების ცალკეული ნაწილები. მოწესრიგებულია ელექტროენერგიის მიწოდება, გარე განათება. კანალიზაციის სისტემა მხოლოდ ქალაქისთვისაა ხელმისაწვდომი, გაზიფიცირებულია თითქმის ყველა სოფელი. სოფლებში მოსახლეობა უფრო ჭის წყალს იყენებს, ხოლო ქალაქში ცენტრალური წყლის სისტემა არსებობს. თუმცა, არ არის ერთიანი მიდგომა გამრიცხველიანებასთან დაკავშირებით. *„ზოგიერთი მაცხოვრებელი სულადობრივად იხდის წყლის გადასახადს, რის გამოც არ უფრთხილდება წყლის მოხმარებას, ეს კი ზაფხულის პერიოდში წყლის დეფიციტს იწვევს",* აღნიშნა ერთერთმა რესპოდენტმა. სოფლებში მოწესრიგებას საჭიროებს საირიგაციო სისტემა. ზაფხულში, გვალვების დროს მოსახლეობას წყლის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ექმნება გამოწვევები, რადგან ჭებში წყალი შრება.

ნაგვის ურნები განთავსებულია მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომ ადგილებში და რეგულარულად ხდება ნარჩენების გატანა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ ხდება ნაგვის დახარისხება და მოსახლეობის ცნობიერებაც ამ კუთხით დაბალია. უახლოს მომავალში ა/ო „სპექტრი"-ს დახმარებით იგეგმება დამატებითი ურნების გადმოცემა მუნიციპალიტეტისთვის ნარჩენების დასახარისხებლად. დასუფთავების მოსაკრებელი სოფლის მოსახლეობისთვის ჯერ არ არის განსაზღვრული, თუმცა მუნიციპალიტეტი ფიქრობს აღნიშნულ საკითხზე. მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება ეკოლოგიურ საკითხებზე, რადგან სოფლებში ხშირად ხდება ხევების დაბინძურება, პოლიეთილენის პარკებისა და ბოთლების გადაყრა ან დაწვა.

გარკვეულ სოფლებში მწირია ხელმისაწვდომობა აფთიაქზე, სასურსათო მაღაზიებზე, რომელთა აუცილებლობა პანდემიის დროს შესამჩნევი გახდა. რადგან მოსახლეობას შეზღუდული ჰქონდა გადაადგილება, ვერ ახერხებდა სურსათისა თუ მედიკამენტების შესაძენად მარტივად ქალაქში ჩამოსვლას, ადგილზე კი აღნიშნული პროდუქტები მათთვის ხელმისაწვდომი არ იყო. საბანკო მომსახურეობა სოფლებში ხორციელდება ლიბერთი ბანკის მიკროავტობუსით, წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით.

მუნიციპალიტეტში, პრაქტიკულად ყველა თემში ხელმისაწვდომია სკოლა და ბაღი. გამონაკლისია სოფელი კინჩხა, სადაც საბავშვო ბაღი არ ფუნქციონირებს. ეტაპობრივად მიმდინარეობს საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მათ შორის კოვიდის შედეგად დადგენილი ახალი რეგულაციების დაცვა. შენობების შიდა სივრცეებში ხდება საპირფარეშოების მოწესრიგება. სკოლებსა და ბაღებში ხელმისაწვდომია წყალი, თუმცა მხოლოდ ცივი. ბაღებს არ აქვთ საკმარისი რაოდენობით საბავშვო ინვენტარი, მათ შორის სათამაშოები. ასევე კეთილმოუწყობელია საბავშვო ბაღებისა და სკოლების გარე სივრცეები.

მუნიციპალიტეტისთვის გამოწვევად დასახელდა მიუსაფარი ძაღლების საკითხი. არ არსებობს მუნიციპალური თავშესაფარი ცხოველებისთვის. მაწანწალა ძაღლების რიცხვი დღითიდღე იზრდება, რაც საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა, განსაკუთრებით ბავშვებისა და ხანდაზმული ადამიანების გადაადგილებას.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი: ხონში საზოგადოებრივი ტრანსპორტი ჯერჯერობით არ ფუნქციონირებს. გადაადგილება კერძო საკუთრებაში არსებული ე.წ სამარშუტო მიკროავტობუსებით ხდება. აღნიშნული ტრანსპორტი არ არის ადაპტირებული, გარდა ამისა ვერ წესდება შეღავათები სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის. ტრანსპორტი უფრო მარტივად ხელმისაწვდომია იმ სოფლებისთვის, რომლებიც ადმინისტრაციულ ერთეულთან ან ცენტრალურ მაგისტრალთან ახლოს მდებარეობს. რამდენიმე სოფლიდან ტრანსპორტი მხოლოდ ე.წ ბაზრობის დღეებში მოძრაობს.

კომუნიკაციებზე ხელმისაწვდომობა: ინტერნეტი ფარავს მთლიანად ხონის მუნიციპალიტეტს, თუმცა როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს მიწოდების ხარისხით არ არიან კმაყოფილი. მოსახლეობაში დგას ინტერნეტთან ხელმისაწვდომობის პრობლემა მისი ყოველთვიური გადასახადის სიძვირიდან გამომდინარე.

ხონში მაუწყებლობს ადგილობრივი ტელევიზია. თვეში ორჯერ გამოიცემა ადგილობრივი გაზეთი.

3.4 განათლება, კულტურა და სამოქალაქო ჩართულობა: მუნიციპალიტეტში, ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია როგორც სკოლამდელი, ასევე სასკოლო განათლება. ონლაინ სწავლების პერიოდში გამოვლინდნენ მოზარდები , რომელთაც ონლაინ სასწავლო პროცესში ჩართვა უჭირდათ ინტერნეტთან ხელმიუწვდომლობის ან შესაბამისი ტექნიკის არ არსებობის გამო. აღნიშნული პრობლემა ძირითადად მრავალშვილიან და სოციალურად დაუცველ ოჯახებში გამოიხატა. ბავშვებს, საჭიროებიდან გამომდინარე ემსახურებათ სასკოლო ტრანსპორტი უახლოეს საგანმანათლებლო დაწესებულებამდე. არის ისეთი სოფლები, სადაც ბავშვთა მცირე ნაკადის გამო არ ფუნქციონირებს ბაღები. სოფელ სუბჩასა და ხიდში არ არის სრული საშუალო განათლების დაწესებულება. 9 კლასის შემდეგ მოსწავლეები სხვა სკოლებში ნაწილდებიან, თუმცა მათ ტრანსპორტი არ ემსახურებათ, რადგან ბავშვების რაოდენობა მცირეა(4-5 მოსწავლე).

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკები, რომელსაც ჰყავს აქტიური მომხმარებელიც, თუმცა საჭიროებს წიგნების საცავის განახლებას თანამედროვე ლიტერატურით. ასევე, კოვიდმა გამოავლინა საჭიროება, რომ მოხდეს ელექტრონული ბიბლიოთეკების სერვისის დანერგვა.

ხონში არსებობს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე, სადაც მოზარდებს შეუძლიათ სხვადასხვა წრეებზე სიარული, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სოფლებში მცხოვრები მოზარდებისთვის ადგილზე მსგავსი მრავალფეროვანი წრეები არ არის და მათ ძირითადად უწევთ ხონში სიარული, რაც რა თქმა უნდა დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული და გარკვეულ ოჯახებს არ აქვთ შესაბამისი ფინანსური შესაძლებლობა. შემაფერხებელი გარემოებაა ასევე სოფლების სიშორე ადმინისტრაციული ცენტრიდან. სოფლად მცხოვრები მოზარდებისთვის უფრო მეტად ხელმისაწვდომია სკოლებში გახსნილი ქართული ცეკვის წრეები. მოზარდებისთვის , ძირითადად სოციალურად დაუცველი მოზარდებისთვის ხელმისაწვდომია ინგლისურის შემსწავლელი კურსები.

რესპოდენტები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ადგილზე პროფესიული მიმართულებების განვითარებას. ხონში , DVV International დახმარებით გაიხსნა ზრდასრულთა გადამზადების ცენტრი, სადაც შესაძლებელია სხვადასხვა მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების კურსების განხორციელება. *,,ადგილზე ვეტერინარების საჭიროება დგას, რადგან ყველა სოფელს სჭირდება ვეტერინარის მომსახურება, თუმცა არ არის კადრი, იმედია ეს ცენტრი მოგცემს ვეტერინარების მომზადების*

შესაძლებლობას", აღნიშნა ერთერთმა რესპოდენტმა. დაწყებულია ახალი პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა, თუმცა პანდემიის გამო მშენებლობის პროცესი შეჩერებულია.

რეკრეაციული ზონები მეტნაკლებად არსებობს, თუმცა ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, როგორც მონაწილეებმა აღნიშნეს, კარგი იქნება თუ შესაძლებელი გახდება მეტი მწვანე რეკრეაციული ადგილის გაშენება და კეთილმოწყობა. *„კარგი იქნება თუ ნერგებით ვინმე დაგვეხმარება, რადგან მათი შეძენა დიდ ფინანსებთანაა დაკავშირებული",* აღნიშნა ერთერთმა რესპოდენტმა.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა პატრონობა და კეთილმოწყობა მუნიციპალიტეტში მუდმივად მიმდინარეობს. ხონში ფუნქციონირებს თეატრი, რომელიც კოვიდამდე მასპინძლობდა სხვადასხვა ღონისძიებებს. ფუნქციონირებს მუზეუმი.

სპორტული მოედნები სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში შეძლებისდაგვარად წესრიგდება. თუმცა ჯერ კიდევ დგას სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნის საჭიროება. არ არსებობს ადგილზე საცურაო აუზი. პერიოდულად ტარდება სხვადასხვა სახის სპორტული აქტივობები, რომელშიც მონაწილეობა შეუძლიათ როგორც სოფლებში მცხოვრებ ისე ქალაქის ახალგაზრდებს. ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა ნაწილმა აღნიშნა, რომ მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია მეტად უნდა ხდებოდეს, განსაკუთრებით ახლა, როცა მოზარდებს დიდი დროის გატარება მოუწიათ ინტერნეტთან და გაჩნდა გარკვეული დამოკიდებულება ინტერნეტ სივრცესთან.

მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები : როგორც ფოკუს ჯგუფების ინტერვიუების დროს გამოიკვეთა ხონში მოქალაქეთა ჩართულობის სხვადასხვა ფორმები (კანონით გათვალისწინებული) დანერგილია, თუმცა ამ კუთხითაც არის სხვადასხვა სახის გამოწვევები. ერთის მხრივ ნაკლებია ცნობიერება მოქალაქეებში ჩართულობის მექანიზმების შესახებ, მეორეს მხრივ კი მუნიციპალიტეტსაც სჭირდება მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების განვითარება. მოსახლეობაში ძირითადად ნიჰილისტური დამოკიდებულება შეინიშნება, მუნიციპალიტეტის მხრიდან კი მოქალაქეთა ჩართულობის წამახალისებელი ღონისძიებები არ ხორციელდება. მნიშვნელოვანია ხელი შეეწყოს, ქალების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას.

სოფლის კრებები ძირითადად მხოლოდ სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში ტარდება, თუმცა მოსახლეობის 20% ჩართულობის უზრუნველყოფა რთულია, რასაც ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ფორმალური ლიდერები ხსნიდნენ არსებული მიგრაციით. მოქალაქეები არ მონაწილეობენ ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში. იშვიათად ესწრებიან საკრებულოს სხდომებს.

კოვიდის რეგულაციების შედეგად ამუშავდა მერიის ცხელი ხაზი , რომელიც მოქალაქეთა ინფორმირებულობის გაზრდას ემსახურებოდა.

ხონის მუნიციპალიტეტს აქვს ამხანაგობების ინფრასტრუქტურული საჭიროებების თანადაფინანსების პროგრამა, თუმცა არ აქვს ამხანაგობების რეგისტრაციის წესი , ამხანაგობების განვითარების სტრატეგია, რაც ხელს შეუწყობდა და სისტემატიზირებულს გახდიდა მუნიციპალიტეტში ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარებას.

კვლევის მიმდინარეობის ეტაპისთვის მუნიციპალიტეტის ახალი ვებ გვერდი განახლების პროცესში იყო. შედეგად ვებ გვერდზე სხვადასხვა სახის ინფორმაცია, მათ შორის მაგ. 2021 წლის ბიუჯეტი, განხორციელებული საქმიანობის ანგარიშები, მიმდინარე პროგრამები გამოქვეყნებული არ გახლდათ.

როგორც ერთ-ერთმა რესპოდენტმა აღნიშნა *„მერიამ განიხილა სამოქალაქო ბიუჯეტის დანერგვის საკითხი, თუმცა კოვიდიდან გამომდინარე გამოწვეული საბიუჯეტო ცვლილებების გათვალისწინებით , 2021 წელს აღნიშნული მექანიზმის დანერგვა ვერ ხორციელდება".*

ფოკუს ჯგუფების ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა მრჩეველთა საბჭოს გაძლიერების აუცილებლობა. ასევე გენდერული საბჭოსთვის ბიუჯეტის გამოყოფა სხვადასხვა აქტივობების ეფექტურად განსახორციელებლად.

3.5 ძირითადი სერვისები და პროგრამები: ხონის მუნიციპალიტეტს შემუშავებული აქვს მრავალფეროვანი ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამები, სათემო სერვისები, რომელთა განვითარება და განახლება პერიოდულად ხდება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მუნიციპალიტეტს აქვს მზაობა ნელ-ნელა გადავიდეს გრძელვადიან, განვითარებაზე ორიენტირებული სერვისების დანერგვაზე, რისი წარმატებული მაგალითებიც გააჩნია მაგ. სოციალური სამრეცხაოს სახით. *„ერთჯერადი ფულადი დახმარება , ან თუნდაც ყოველთვიურად გაცემული მცირედი ფულადი დახმარება მაინც ვერ აგვარებს მოქალაქის პრობლემას, ამიტომ უმჯობესი იქნება ისინი შეიცვალოს უფრო გრძელვადიანი, მდგრად შედეგზე ორიენტირებული პროგრამებით".* აღნიშნა ერთერთმა მონაწილემ.

მუნიციპალიტეტი პროგრამების შემუშავებას მოსახლეობიდან შემოსული განცხადებების ანალიზის საფუძველზე ახდენს , თუმცა იზიარებს მოსაზრებას, რომ შეიძლება ჰყავდეს სერვისებს მიღმა დარჩენილი მოქალაქეებიც. სერვისების განვითარებაში დადებით კონტექსტში აღინიშნა პარტნიორი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების როლი.

ჯანდაცვის პროგრამები და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა: მერიას გააჩნია მედიკამენტების შესყიდვისა და სხვადასხვა სამედიცინო კვლევების, ოპერაციების თანადაფინანსების მექანიზმი, რომლითაც სარგებლობა არა მხოლოდ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს შეუძლიათ. ხონში ფუნქციონირებს საავადმყოფო, სადაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობა ხელმისაწვდომია. სოფლებში არსებობს ამბულატორიები, თუმცა ექიმი ყოველდღიურად არ არის ადგილზე ხელმისაწვდომი. განახლებას საჭიროებს ამბულატორიების მატერიალურ ტექნიკური ბაზა. ასევე, გამოიკვეთა დევნილთა დასახლებაში ამბულატორიის არსებობის საჭიროება, რომელსაც ცალკე უნდა გამოეყოს ექიმი. *„ხონში ბევრი დევნილი ცხოვრობს, რომელთაც ნამდვილად სჭირდებათ ამბულატორია , სადაც უფრო ხელმისაწვდომი გახდება მათთვის პირველადი ჯანდაცვის სერვისების მიწოდება. პანდემიამ დევნილთათვის დამატებით ამბულატორიის არსებობა უფრო ნათლად გამოკვეთა, როცა დამძიმებულ ეპიდსიტუაციის დროს ექიმთან კონსულტაციაც კი გართულებული იყო, სასწრაფოები გადატვირთული ისევე როგორც ადგილობრივი ხონის სამედიცინო დაწესებულება".*

როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს, ხონში არ არის ხელმისაწვდომი ფსიქოლოგის კონსულტაცია, რომელიც განსაკუთრებით კოვიდის შემდგომ გახდა მოთხოვნადი. ფსიქოლოგი არ არის ხელმისაწვდომი ბაღებსა და ყველა სკოლაში. მოქალაქეებში მწირია ცნობიერება რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ და სისტემატიური სკრინინგ პროგრამებიც ნაკლებადაა წარმოდგენილი.

სოციალური საკითხები და სერვისები: მერიაში არსებობს შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო. *„ზოგადად ვცდილობთ დიდი ყურადღება დავუთმოთ შშმ პირთა საჭიროებებს. მოხდა მერიის 15 თანამშრომლის გადამზადება შშმ პირებთან ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით, მერიის შენობა გახდა ადაპტირებული",* განაცხადა ერთერთმა რესპოდენტმა. მერიის თანადაფინანსებით არსებობს შშმ ბავშვთა დღის ცენტრი , სადაც უზრუნველყოფილია იმ ბავშვების ტრანსპორტირებაც, რომლებსაც სოფლებიდან გადაადგილება უჭირთ. საბიუჯეტო პროგრამით გათვალისწინებულია 18 წლის ასაკის ზემოთ მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული გონებრივი განვითარების ჩამორჩენილობის მქონე, ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით დაავადებული პირებზე ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა, მაგრამ არ არის დანერგილი 18 წელს ზემოთ შშმ პირების ინტეგრაციისა და რეაბილიტაციის ხელშემწყობი პროგრამები. ადგილზე დგას ქცევითი თერაპევტის, მასაჟისტის, ლოგოპედის მომსახურების სერვისის აუცილებლობა, რომლებმაც შეიძლება შშმ ბავშვებს (პირებს) ადგილზე მიაწოდონ მომსახურეობა და მშობლებს არ მოუწიოთ მათი ტარება ქუთაისში.

ადგილზე არის დაფუძნებული „მადლიერების სახლი" და ,,სათნოების სახლი" , სადაც უფასო სადილით უზრუნველყოფა ხდება ჯამურად 250 ბენეფიციარის. თუმცა, აღნიშნული სასადილოთი სოფლების (განსაკუთრებით ადმინისტრაციული ცენტრიდან შორს მცხოვრებ, მარტოხელა ხანდაზმულებს, სოციალურად დაუცველებს) მაცხოვრებლებს უჭირთ სარგებლობა. არ არსებობს მათთვის საკვების ადგილზე მიწოდების სერვისი.

ხონში ფუნქციონირებს ორი სოციალური სამრეცხაო, რომელიც PIN საქართველოს მხარდაჭერით დაფუძნდა. 2021 წლის მარტის თვიდან შესაძლებელი გახდა უსახლკარო ხანდაზმულებისთვის (20 ადამიანისთვის) 24 საათიანი საცხოვრისის გახსნა, რომელიც მერიისა და არასამთავრობო ორგანიზაციის ერთობლივი ძალისხმევის შედეგია. პროექტის დასრულების შემდეგ მერია საცხოვრისის ვაუჩერულ დაფინანსებაზე გადაყვანას გეგმავს.

როგორც ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა აღნიშნეს არიან მარტოხელა, ხანდაზმული ან სხვა მოწყვლადობის ადამიანები, რომლებსაც უდგათ შინ მოვლის საჭიროება. შინ მოვლა შეიძლება გამოიხატებოდეს სოფლად საოჯახო საქმეების მოწესრიგების დახმარებაში, ან ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე ჰიგიენური ნორმების დაცვის ხელშეწყობაში. თუმცა, ჯერჯერობით მსგავსი შინ მოვლის სერვისი ხელმისაწვდომი მუნიციპალიტეტში არ არის.

მერია არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით ახორციელებს ბავშვთა რეინტეგრაციის პროგრამას, თუმცა ისურვებდნენ მის გაფართოებას.

საჭიროებამ გამოავლინა, რომ აუცილებელია ქალაქში არსებობდეს საზოგადოებრივი საპირფარეშოები. ასევე, საზოგადოებრივი საშხაპე, რომელიც შესაძლებელია სამრეცხაოსთან ერთად ფუნქციონირებდეს

როგორც სოციალური საწარმო და მსურველებს (მათ შორის ტურისტებს) ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ სწრაფი სერვისი ჰიგიენური ნორმების დასაცავად.

მუნიციპალიტეტში არ არსებობს ზუსტი მონაცემთა ბაზები სხვადასხვა საჭიროებების მქონე მოქალაქეების. მაგ. არ არის ზუსტი მონაცემები, შშმ პირების, მარტოხელა ან მრავალშვილიანი მშობლებისა და ოჯახების, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების და სხვა. *„სტატისტიკის წარმოების აუცილებლობა უფრო ნათლად დაგვანახა Covid-19-მა, როცა ვაქცინაციის დაწყებასთან დაკავშირებით აუცილებელი გახდა 75+ ადამიანების მონაცემების შეგროვება, რაც მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა და სოფლის წარმომადგენლების დახმარებით ახლახანს განახორციელა",* აღნიშნა ერთერთმა რესპოდენტმა.

მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროგრამების შესწავლის შედეგად , გამოვლინდა, რომ სერვისებს მიღმა არიან დარჩენილი კანონთან კონფლიქტში (პირობით მსჯავრდებულები, ნარკოდამოკიდებული ადამიანები, განრიდებული ახალგაზრდები)მყოფი პირები, რომელთათვისაც არ არის ხელმისაწვდომი რეინტეგრაცია/რესოციალიზაციაზე მიმართული პროგრამები.

ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხად გამოიკვეთა მოქალაქეთათვის სოციალურად დაუცველთა სტატუსის მინიჭება. რესპოდენტებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ აუცილებლია ოჯახის შეფასებისას ადგილობრივი თვითმმართველობის როლის და ჩართულობის გაზრდა, ვინაიდან ადილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ყველაზე მეტი შეხება აქვთ საკუთარ მოქალაქეებთან და კარგად იციან რომელ ოჯახს რა საჭიროება უდგას. მოქალაქეებს კი მიაჩნიათ რომ შეფასების სისტემა ობიექტურად ვერ აფასებს ოჯახის საჭიროებებსა და მოწყვლადობას, რის გამოც ხშირად შეუსაბამოდ მაღალ ქულებს ღებულობენ შეჭირვებული ოჯახები. ასევე, გამოითქვა მოსაზრება, რომ სოციალურად დაუცველობის სისტემამ მოქალაქეს ხელი უნდა შეუწყოს სიღარიბის დაძლევაში და წაახალისოს ის მიიღოს დამატებითი შემოსავალი საკუთარი შრომით, დღეს არსებული მიდგომა კი მსგავს შესაძლებლობას არ იძლევა.

4. რეკომენდაციები:

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

- სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანია ადგილობრივ საჭიროებებზე და მოქალაქეთა ინტერესებზე მორგებული პროგრამების შემუშავება და განხორციელება. ასევე არსებული პროგრამების გადახედვა და პირობების გაუმჯობესება;
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტთან ერთად შემუშავდეს და დაინერგოს მოქალაქეთა ინფორმირებულობის ახალი ფორმები იმ პროგრამების შესახებ, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით ხორციელდება.

აწარმოე საქართველოს

- მნიშვნელოვანია ხელი შეეწყოს მოქალაქეთა უნარების გაძლიერებას ისეთ საკითხებში, როგორიცაა ბიზნეს განაცხადის წერა.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

- დაიწყოს მუშაობა სოციალურად დაუცველთა შეფასების სისტემის განახლებაზე, რათა ეს უკანასკნელი მაქსიმალურად ობიექტურად აფასებდეს მოქალაქის საჭიროებას და ადგენდეს საჭიროებებს;
- შეფასების პროცესის განხორციელებისას გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტის როლი, როგორც იმ სახელმწიფო დაწესებულების, რომელიც ყველაზე ახლოს დგას საკუთარ ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოქალაქესთან;
- ხელი შეუწყოს სოფლის ამბულატორიების მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას და გახადოს იგი პანდემიიდან გამომდინარე არსებულ საჭიროებებზე მორგებული.

ადგილობრივ მუნიციპალიტეტს

- მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მცირე საგრანტო პროგრამების შემუშავება და ახალგაზრდების, ქალების ეკონომიკური წახალისება მიგრაციის შესამცირებლად;
- ხელი შეუწყოს ჩართულობის მექანიზმების შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებას;
- მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ინფორმირებულობის გაუმჯობესების მიზნით დაინერგოს კომუნიკაციის სხვადასხვა მექანიზმები. მოხდეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა შშმ პირებისთვის;
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა გადახედოს არსებულ პროგრამებს და გამონახოს გზები ერთჯერადი ფულადი გასაცემლები შეცვალოს მდგრადი სერვისების მიწოდებით. პროგრამები კი გახადოს უფრო მეტად მორგებული მოსახლეობის საჭიროებებს;
- მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური სერვისის მიწოდების უზრუნველსაყოფად დაინერგოს „აუთსორსინგის“ (სერვისის შესყიდვის) მექანიზმი მუნიციპალიტეტში.

5.საბიუჯეტო პროგრამა ხონის მუნიციპალიტეტისთვის

პროგრამის დასახელება	კოდი	*მარტოდ მცხოვრები და მარტოხელა, სოციალურად დაუცველი ხანდაზმულების შინ მოვლა*	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	სხვა რესურსებიდან მიღებული დაფინანსება
პროგრამის განმახორციელებელი უწყება(სამსახური)	**მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური**			
წინაპირობა	სოციალური მომსახურების სააგენტოს 2021 წლის მარტის მონაცემებით , ხონის მუნიციპალიტეტში 566 [2], 70 წელს გადაცილებული ხანდაზმულია რეგისტრირებული, რომელთა სარეიტინგო ქულა 70 000 არ აღემატება. მათი გარკვეული ნაწილი მარტოხელა ან მარტოდ მცხოვრებია. პანდემიის პერიოდში მუნიციპალიტეტი ახდენდა აღნიშნული მოწყვლადი ხანდაზმულებისთვის სასურსათო კალათის მიწოდებას, თუმცა როგორც ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს (LDA Georgia) მიერ კვლევის დროს ჩატარებულმა ფოკუს ჯგუფების დისკუსიების შედეგებმა აჩვენა, დღეისათვის აღნიშნული მოწყვლადობის მქონე მოქალაქეებისთვის, ხონში მდგრადი გრძელვადიანი სერვისი ხელმისაწვდომი არ არის. აქვე აღსანიშნავია, რომ პანდემიის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მარტოხელა და მარტოდ მცხოვრებ, სოციალურად დაუცველ ხანდაზმულებს ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით ადგილზე ჰქონდეთ შესაძლებლობა მიიღონ საკვები პროდუქტები დამატებითი გადაადგილების აუცილებლობის გარეშე, ისევე როგორც მნიშვნელოვანია ხელი შეეწყოს მათ ჰიგიენური ნორმების დაცვაში.			
პროგრამის ბენეფიციარები	ხონის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები 70 წელს გადაცილებული მარტოხელა და მარტოდ მცხოვრები ხანდაზმულები, რომელთა სარეიტინგო ქულა 70 000 არ აღემატება.			
პროგრამის აღწერა (მიზანი)	სერვისის მიზანია მზრუნველი, უსაფრთხო და ღირსეული პირობების შექმნა პროგრამის ბენეფიციარებისთვის. პროგრამა ითვალისწინებს ბენეფიციარების ჰიგიენური პირობების			

[2] http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1539 სოციალური მომსახურების სააგენტო

	მოწესრიგებას ან ჰიგიენური საშუალებების მიწოდებას თვეში 2-ჯერ (ვიზიტი ორ კვირაში ერთხელ) და ყოველთვიურად საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფას. პროგრამის ბენეფიციარების აღწერა უნდა განახორციელოს მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურმა, მერის წარმომადგენლების დახმარებით. პროგრამაში ჩასართავად, მოქალაქემ განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: პირადობის მოწმობის ასლი; ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან. განცხადებას შეისწავლის ჯანმრთელობის და სოციალური საკითხების დაცვის სამსახური და ინფორმაციას(აქტის სახით) წარუდგენს სოციალური დახმარების გამცემ კომისიას გადაწყვეტილების მისაღებად.			
პროგრამის შედეგი	შინ მოვლის პროგრამაში ჩართული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (სოფლად მცხოვრები) რეგისტრირებული მარტოხელა და მარტო მცხოვრები ხანდაზმულებისთვის უზრუნველყოფილია მზრუნველი, უსაფრთხო და ღირსეული პირობები.			
შესრულების ინდიკატორი	საწყისი მაჩვენებელი	2022 წლის მაჩვენებელი	2023 წლის მაჩვენებელი	2023 წლის მაჩვენებელი
	0	ხანდაზმული	ხანდაზმული	ხანდაზმული
პროგრამის შესრულების მონიტორინგის განმხორციელებელი	შიდა აუდიტის სამსახური			
რისკები	ვირუსით ინფიცირების მატების შედეგად დაწესებული შეზღუდვები სერვისზე გაზრდილი მოთხოვნა			

6. დანართი: სადისკუსიო გეგმა/გზამკვლევი

საკვლევი საკითხი	ძირითადი კითხვები	შენიშვნა/კომენტარი ინტერვიუერისთვის
გაცნობითი/შესავალი ნაწილი	- მისალმება / წარდგენა / მონაწილეთა გაცნობა; - კვლევის მიზნების, ფორმატის და პრინციპების გაცნობა (კონფიდენციალობის კომონენენტი); - აუდიო ჩანაწერის განხორციელებაზე თანხმობის მოპოვება.	ამ ნაწილის მიზანია მონაწილეთა მომზადება და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა.
ეკონომიკური განვითარება	1. რა გამოწვევებს ხედავთ თქვენს მუნიციპალიტეტში ეკონომიკური განვითარების კუთხით? 2. სოფლის მეურნეობის თქვენთვის სასურველი დარგის განვითარებაში რა ხელშემშლელი გარემოებები არსებობს? 3. გაქვთ თუ არა თქვენს მიერ წარმოებული პროდუქციის ადგილზე რეალიზების შესაძლებლობა? 4. მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა ეკონომიკური განვითარების პროგრამებში? თუ არა რატომ?	თემის ზოგადი მდგომარეობის შეფასება და მწვავე პრობლემების იდენტიფიცირება.
ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა	5. ინფასტრუქტურის კუთხით რა წარმოადგენს თქვენთვის ყველაზე დიდ გამოწვევას? 6. რამდენად ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი ტრანსპორტი? 7. არის თუ არა უზრუნველყოფილი თქვენს დასახლებებში შესაბამისი საკომუნიკაციო სისტემები?	აქცენტი გაკეთდება მუნიციპალიტეტში არსებულ ინფრასტრუქტურაზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, კომუნიკაციის ხელმისაწვდომობაზე.
სოციალურ-ეკონომიკური პროფილი	8. რამდენად მიგიწვდებათ ხელი პირველად ჯანდაცვასთან? რა პროგრამები ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის კუთხით? თუ არის ხელმისაწვდომი სოფლის ამბულატორია? ექიმის მომსახურეობა? 9. რას დაასახელებდით პირველად გამოწვევად ჯანდაცვის კუთხით თქვენს მუნიციპალიტეტში? 10. ეკოლოგიის კუთხით რა სახის პრობლემებს დაასახელებდით? და როგორია მათი ზეგავლენა გარემოზე? 11. რამდენად შეგიძლიათ დასაქმდეთ თქვენს მუნიციპალიტეტში? თუ არა რა ხელშემშლელ ფაქტორებს დაასახელებდით? 12. გაქვთ თუ არა რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები? რა გამოწვევებს აწყდებით ამ კუთხით?	მნიშვნელოვანია მიღებულ იქნას მაქსიმალურად კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია ამ საკითხებზე.

	13. რა უწყობს ხელს თქვენს მუნიციპალიტეტში მიგრაციას? 14. რა გამოწვევებს ხედავთ დემოგრაფიული ცვლილებების კუთხით? რა სახის პროგრამები უნდა არსებობდეს დემოგრაფიული კეთილდღეობისთვის?	
განათლება, კულტურა და სოციალური ჩართულობა	15. რამდენად არის ხელმისაწვდომი თქვენს მუნიციპალიტეტში სკოლამდელი და სკოლის განათლება? სასკოლო ტრანსპორტი რამდენად არის ხელმისწვდომი? თუ არის საგანამანათლებლო ადწესებულებებში ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული? 116. კულტურული ცხოვრება რამდენად ხელმისაწვომია? 17. თუ იცნობთ მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ჩართულობის რომელიმე მექანიზმს? როგორ ფიქრობთ რა უნდა გაუმჯობესდეს მოქალაქეების ჩართულობის კუთხით ?	განხილული იქნება შემდეგი ქვეთემები:კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები, კულტურული მემკვიდრეობა და სოციალური/კულტურული გარემო;სპორტული და რეკრეაციული ღონისძიებები; სამოქალაქო ჩართულობა; თანასწორობა.
ძირითადი სერვისები და პროგრამები	18. რომელ სერვისებზე მიგიწვდებათ ხელი? რომელი სერვისების ნაკლებობაა თქვენი აზრით თქვენს მუნიციპალიტეტში? 19. რისი გაუმჯობესებაა საჭირო უკვე არსებული სერვისების უკეთ ფუნქციონირებისათვის?	ყურადღების გამახველება პრგრამების შესახებ არსებულ ინფორმაციასა და კრიტერიუმებზე; ხელმისაწვდომობის დადგენა.
Covid-19-ის შემდგომ წარმოქმნილი გამოწვევები	20. რა არის ის ძირითადი გამოწვევები, რომლის წინაშეც დადექით კოვიდის შედეგად? 21. კოვიდ პანდემიით გამოწვეული სირთულეების დასაძლევად რა პროგრამები და აქტივობები განხორციელდა თქვენს მუნიციპალიტეტში? 22. რა უნდა გაკეთდეს თქვენს მუნიციპალიტეტში კოვიდ პანდემიით გამოწვეული პრობლემების შესამსუბუქებლად?	ყურადღების გამახვილება იმ საკითხებზე და გამოწვევებზე, რაც პანდემიის შემდგომ გამოიკვეთა.
რეკომენდაციები / მოსაზრებები გაუმჯობესებისთვის	23.რა უნდა გაკეთდეს თემში არსებული სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად? 24.რა ტიპის რესურსების მობილიზებაა საჭირო? ვის მიერ?	მნიშვნელოვანია მიღებულ იქნას მაქსიმალურად კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია ამ საკითხებზე.